

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების
მიზნით სამუშაო ჯგუფის 2023 წლის 29 მარტის სხდომის

ოქმი N1

სხდომა დაიწყო 11:00 საათზე

სხდომას ესწრებოდნენ:

ნინო ლაცაბიძე - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი - თავმჯდომარე;

ბესიკ ტოგონიძე - მერის მოადგილე - თავმჯდომარის მოადგილე;

კახა გურული - მერის პირველი მოადგილე - სამუშაო ჯგუფის წევრი;

ოთარი ტატალაშვილი - მერის მოადგილე - სამუშაო ჯგუფის წევრი;

მამუკა მამაიაშვილი - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი ბიუჯეტის საკითხებზე;

მიხეილი მუზაშვილი - ადმინისტრაცია - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

ზაზა ზაზაძე - ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

ლაშა ბუსხრიკიძე - ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

ნინო სოსელია - ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

ევტიხი ხაჩიძე - მუნიციპალური ინსპექცია - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

ეთერი ქურდიანი - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე - სამუშაო ჯგუფის მდივანი;

არამუდმივი წევრები:

- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლები;
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების ხელმძღვანელები;

სხდომა გახსნა სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილემ - **ბესიკ ტოგონიძემ**

ბესიკ ტოგონიძე: ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის სწორი და ეფექტური განვითარებისათვის საბიუჯეტო პროცესს ერთ-ერთი ძირითადი როლი აკისრია, ხოლო მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს პროგრამული ბიუჯეტირება, რომელიც ნათლად აჩვენებს დაგეგმილ და მიღწეულს შედეგს შორის სხვაობას.

პროგრამული ბიუჯეტირების ძირითადი საფუძველია მოსახლეობის პრიორიტეტების დადგენა, ხოლო პრიორიტეტებისა და ბიუჯეტის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრისათვის საჭიროა საზოგადოებრივი აზრის შესწავლა, მოსახლეობის გამოკითხვის გზით. ძირითადი ყურადღება იქნება გამახვილებული თუ რამდენად კმაყოფილია მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, გასულ და მიმდინარე წელს განხორციელებული პროგრამებით და ღონისძიებებით, ასევე უნდა დადგინდეს თუ რა იქნება პრიორიტეტული სფეროები 2024 საბიუჯეტო წელს.

მამუკა მამაიაშვილი: მოგახსენებთ, რომ ქალაქ რუსთავის მერმა მიმდინარე წლის 28 თებერვალს გამოსცა შესაბამისი ბრძანება, რომელიც ასახავს ვალდებულებებს მთელი წლის განმავლობაში განსახორციელებელ ღონისძიებებს საბიუჯეტო კალენდრის მიხედვით. დღეს გვაქვს პირველი სხდომა და განვიხილავთ მოსახლეობის გამოკითხვის შინაარსობრივ ნაწილს. ასევე უნდა დავიწყოთ მოსახლეობის აზრის კვლევა თუ რა იქნება პრიორიტეტული სფერო, რომელიც ადგილობრივმა თვითმმართველობამ უნდა გაითვალისწინოს 2024 საბიუჯეტო წელს.

მამუკა მამაიაშვილი: კითხვარში შევიტანთ 6 ძირითად პუნქტს და თითო პუნქტი ჩაიშლება ქვე-პუნქტებად. მუნიციპალური ერთეულები შევსებულ კითხვარს უგზავნის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, ჩვენი სამსახურის მიერ მოხდება გამოკითხვის შედეგების კონსოლიდაცია.

ნინო ლაცაბიძე: 2024 წლის ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი უნდა დაიგეგმოს იმგვარად რომ ქალაქში მცხოვრები მოსახლეობის ინტერესები მაქსიმალურად გათვალისწინებული იყოს, ამავდროულად ქალაქის განვითარება შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტის-გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის, რუსთავის მუნიციპალიტეტის ველოსიპედით გადაადგილების სტრატეგიის, ქ.რუსთავის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის, ყველა მოქმედი სტრატეგიების და გასული წლების საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით. საზოგადოებრივი აზრის შესწავლის მიზნით სავალდებულოა პროცესში ჩაერთონ მერის წარმომადგენლები ა(ა)იპ „რუსთავის კორპუს“-თან მჭიდრო კოორდინაციაში. ჩვენი მთავარი მიზანია ქალაქის განვითარება მოხდეს სისტემურად მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობით და მონაწილეობით.

მადლობას გიხდით და გისურვებთ წარმატებებს.

ნინო ლაცაბიძე - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი - თავმჯდომარე;

ბესიკ ტოგონიძე - მერის მოადგილე - თავმჯდომარის მოადგილე;

კახა გურული - მერის პირველი მოადგილე - სამუშაო ჯგუფის წევრი;

ოთარი ტატალაშვილი - მერის მოადგილე - სამუშაო ჯგუფის წევრი;

მამუკა მამიაშვილი - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი ბიუჯეტის საკითხებზე;

მიხეილ მუზაშვილი - ადმინისტრაცია - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

ზაზა ზაზაძე - ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

ლაშა ზუსხრიკიძე - ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

ნინო სოსელია - ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

ევტიხი ხაჩიძე - მუნიციპალური ინსპექცია - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

ეთერი ქურდიანი - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე - სამუშაო ჯგუფის მდივანი;